



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიზაცია, ბაკალავრიატი

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20-21 მაისი, 2021

21 ივნისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ტელეკომუნიკაცია
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია 0714
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 358. 25.11.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერიან გობრონიძე, სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კვირკველია, სტუ, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, თსუ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას “ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიჩინერია“ წინა აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 25 ნოემბრის N358 გადაწყვეტილებით.

პროგრამის მიზნებია მოამზადოს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, მისცეს სტუდენტს ფართო განათლება, ჩამოუყალიბოს უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი და შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. შეასწავლოს სტუდენტს სატელეკომუნიკაციო ანალოგური და ციფრული სიგნალები, ველები და ტალღები, გადაცემის პრინციპები, რადიოტექნიკური სისტემები, ანტენები და რადიოტალღების გავრცელების პრინციპები, ქსელების არქიტექტურა, დაპროექტება და აგება, სატელეკომუნიკაციო ნაგებობები და აღჭურვილობები, ბოჭკოვან-ოპტიკური და მრავალარხიანი სისტემები; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის, მოდელირების კომპიუტერული სისტემების ძირითადი მეთოდები; ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძვლები.

პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს. ისინი წარმოდგენილია 11 სწავლის შედეგის სახით და შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და კორელაციაშია ცალკეული კურსის სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომლებიც გადანაწილებული შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსები 196 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 5 კრედიტი, 15 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 20-21 მაისს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად ჩაიწეროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის ყველა სავალდებულო საგანი;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კონკრეტული საკითხების ნაცვლად გაიწეროს შესაბამისი აქტივობები კვირეების მიხედვით და მორგებული იყოს განსხვავებული თემატიკის სადიპლომო ნაშრომებზე;
- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკები გაიწეროს დეტალური კრიტერიუმების მიხედვით;
- უზრუნველყოფილი იქნას საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სავალდებულო საგნებიდან ცალკე გამოიყოს საერთო საუნივერსიტეტო, არაძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო საგნები და გადავიდეს თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო საგნების ნაწილში;
- სილაბუსებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები მიეთითოს ზოგადად, სხვადასხვა აქტივობებისთვის მოსამზადებლად საათების კონკრეტული განაწილების გარეშე;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდების და მიმდინარე შეფასებების ქულების რაოდენობა;
- სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განმტკიცება;

- სასურველია აკადემიურ პერსონალისთვის შეთავაზებული იქნას ტრენინგი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით;
- ვინაიდან, კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი მასალები და შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა სასურველია არ იყოს იდენტური;
- უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესის განხორციელებისას;
- სასურველია განხორციელდეს ერთზე მეტი ადგილობრივი კოლეგიალური შეფასება და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით გააქტიურდეს მუშაობა;
- სასურველია უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების ფარგლებში, განხორციელდეს პროგრამის შეფასება საერთაშორისო ექსპერტის მიერ;
- სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სსიპ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რომლის გათვალისწინებით დააზუსტა 2.3 ქვესტანდარტის მიმართებით გაცემული რეკომენდაცია.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მისასალმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. ისინი შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას - აღზარდოს მაღალკვალიფიციური ინჟინერიის მიმართულების სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან ორიენტირებულნი სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაზე, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, ჩამოყალიბდეს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელ თავისუფალ პიროვნებად. ასევე შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან.

პროგრამის მიზნებია მოამზადოს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, მისცეს სტუდენტს ფართო განათლება, ჩამოუყალიბოს უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი და შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. შეასწავლოს სტუდენტს სატელეკომუნიკაციო ანალოგური და ციფრული სიგნალები, ველები და ტალღები, გადაცემის პრინციპები, რადიოტექნიკური სისტემები, ანტენები და რადიოტალღების გავრცელების პრინციპები, ქსელების არქიტექტურა, დაპროექტება და აგება, სატელეკომუნიკაციო ნაგებობები და აღჭურვილობები, ბოჭკოვან-ოპტიკური და მრავალარხიანი სისტემები; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის, მოდელირების კომპიუტერული სისტემების ძირითადი მეთოდები; ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძველები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ <https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html>
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს. ისინი წარმოდგენილია 11 სწავლის შედეგის სახით და შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა გამოიყენება პროგრამის შეფასების

მიზნით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რეგულარული გამოკითხვები. სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე, მუშავდება რეკომენდაციები, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც გარკვეულწილად უკვე გახდა სასწავლო კურსების ჩანაცვლების, დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი ხდება.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა; ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდებისა და განხორციელების რელევანტურობა; გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე; სტუდენტთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებელთა გამოკითხვა.

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, ანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად სწავლება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების და აქტივობების გამოყენებით: დემონსტრირების მეთოდი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; დისკუსია/დებატები; პრაქტიკული მუშაობა; პროექტზე მუშაობა; ლაბორატორიული მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაცია; ევრისტიკული მეთოდი; სწავლა კვებით; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წიგნზე/წყაროზე მუშაობის მეთოდები; გონებრივი იერიში/ასოციაციური რუკა; აუდიო-ვიზუალური მეთოდი; აქტიური/ინტერაქტიური მეთოდი; თხრობისა და საუბრის მეთოდი; ტერმინების შემოტანის მეთოდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების
- დამტკიცების შესახებ“. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9054_1.pdf
- სტუდენტთა გზამკვლევი <https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html>
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ჩასაბარებელი საგნები: მათემატიკა, უცხო ენა, ქართული ენა). პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ბსუ-ს ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომლებიც გადანაწილებული შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსები 196 კრედიტი,

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 5 კრედიტი, 15 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტებს.

პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტით, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებით. სასწავლო გეგმითა და სწავლის შედეგების რუკით განსაზღვრულია ლოგიკური თანმიმდევრობა სასწავლო კომპონენტებს შორის, აგრეთვე მათი კავშირი პროგრამის შედეგებთან.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმრავლეს სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია საათები პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის და პროექტზე მუშაობისათვის. სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე განსხვავებულია მისი კრედიტების რაოდენობა და იცვლება 2 კრედიტიდან 7 კრედიტამდე.

პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან საუნივერსიტეტო სასწავლო კომპონენტებს, რომლებსაც წინაპირობა არ აქვთ. სხვა სემესტრებში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები, რომლებსაც წინაპირობა გააჩნიათ. სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში ისეა დალაგებული, რომ ყოველი კომპონენტის წინაპირობით განსაზღვრული სასწავლო კურსი ისწავლება წინა სემესტრში. ამგვარად ხდება განვითარება შესავალი ნაწილიდან უფრო რთულ, კომპლექსურ საკითხებამდე.

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია აკადემიური პერსონალის, თვითშეფასების ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და შინაარსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებულია საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი), ფილოსოფია, ფსიქოლოგია, აკადემიური წერის საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტში ეროვნული ღირებულებების, საერთო ზოგადი ცოდნისა და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ისინი გაერთიანებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებთან. ვინაიდან პროგრამა გადატვირთულია სავალდებულო საგნების სიმრავლით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავალდებულო საგნებიდან ცალკე გამოიყოს საერთო საუნივერსიტეტო, არაძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო საგნები და გადავიდეს თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო საგნების ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სავალდებულო საგნებიდან ცალკე გამოიყოს საერთო საუნივერსიტეტო, არაპირდაპირი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო საგნები და გადავიდეს თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო საგნების ნაწილში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 14 სალექციო კვირას. საგნების დატვირთვა იცვლება 2-დან 7 კრედიტამდე. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მოიცავს სფეროს აქტუალურ მიღწევებს, თანამედროვე ტენდენციებს, პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად შესაბამის საგნებში

გათვალისწინებულია სალექციო, პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული სამუშაოები.

კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით.

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მათზე დაყრდნობით, პროგრამის ძირითად კომპონენტებს, ადგენს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების პროექტებს. დამუშავებულ მასალებს შესაფასებლად გადასცემს კურიკულუმის კომიტეტს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმის კომიტეტი ითხოვს საცდელი ლექციის/ჯგუფში მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარებას, ამოწმებს სასწავლო მასალებს და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, აფასებს სამეცნიერო-კვლევებს და სხვა. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, კურიკულუმის კომიტეტი სამუშაო ჯგუფს აძლევს რეკომენდაციას და გონივრულ ვადას მათ აღმოსაფხვრელად. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე კი საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მაქსიმალურად განახლებულია და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასწავლო კურსების ნაწილში მომზადებულია სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია, რომელიც სტუდენტს ეგზავნება სასწავლო კურსის დარეგისტრირებისთანავე.

თითოეული სასწავლო კურსისთვის მოცემულია სწავლის შედეგები, თუმცა სილაბუსების უმრავლესობაში სწავლის შედეგების ფარგლები არ არის ცხადი მომხმარებლისთვის (სტუდენტისთვის, პროფესორისთვის, ხარისხის სამსახურისთვის), უნარებში არ ჩანს მისი ცოდნის გამოყენების დონეები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სილაბუსებში (მაგ: ელექტრონული წრედები I, კომპიუტერული გრაფიკა, სითხის და აირის გამოყენებითი მექანიკა და სხვ) სწავლის შედეგების ფარგლები უნდა გაიწეროს ცხადად, იგულისხმება, რომ შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით).

სილაბუსების უმრავლესობაში დამოუკიდებელი მუშაობისთვის გათვალისწინებული საათები განაწილებულია რამდენიმე აქტივობისთვის, მაგალითად, სილაბუსში „კომპიუტერული გრაფიკა 2“ დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი 32 სთ განაწილებულია შემდეგნაირად: მზადება პრაქტიკული მუშაობისთვის – 20 სთ; მზადება შუალედური გამოცდისთვის – 2 სთ; მზადება დასკვნითი გამოცდისთვის – 10 სთ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ასეთი კონკრეტიზაცია საჭირო არ არის და სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თვითონ გაანაწილონ დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულია საგანი - სატელეკომუნიკაციო საკაბელო ქსელების დაპროექტება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის ყველა სავალდებულო საგანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ნოემბრის № 06-01/131 დადგენილება „ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“;
- ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის № 01-02/51 ბრძანება „ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 დეკემბრის №06-01/86 დადგენილება „ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტი-ინჟინერია“ დამტკიცების შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად ჩაიწეროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის ყველა სავალდებულო საგანი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები მიეთითოს ზოგადად, სხვადასხვა აქტივობებისთვის მოსამზადებლად საათების კონკრეტული განაწილების გარეშე;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისა და მათი კვლევით პროექტებში ჩართვის უზრუნველსაყოფად, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ლაბორატორიული სამუშაოებისთვის აუცილებელი როგორც მოძველებული, ისე თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიები; პროგრამის კვლევით და აკადემიურ კომპონენტის განხორციელებაში ჩართულნი არიან, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. პრაქტიკული უნარების გასავითარებლად, დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტებისთვის შეთავაზებულია დამოუკიდებელი საგანი - საწარმოო პრაქტიკა (5 კრედიტი). საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს და კონსულტაციებს უწევს დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრულია პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა.

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, სტუდენტები აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ატარებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომელთა შედეგების საფუძველზე სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სტუდენტურ კონფერენციებში.

უნივერსიტეტში დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისათვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ საქმიანობაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სტუდენტს ეხმარება პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაში და უნდა შეფასდეს დადებითად, ექსპერტთა ჯგუფს მის მიმართ გააჩნია გარკვეული შენიშვნები. კონკრეტულად, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულია კონკრეტული საკითხები. ინტერვიუს დროს განმარტებული იქნა, რომ

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდში დროს სტუდენტები გაივლიან სპეციალობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებს კრებსითად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმჯობესია სტუდენტი ძირითადად კონცენტრირდეს იმ საკითხებზე, რაც დაკავშირებული იქნება მის საბაკალავრო ნაშრომთან და განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო სილაბუსში კი გაიწეროს შესაბამისი აქტივობები კვირეების მიხედვით და მორგებული იყოს განსხვავებული თემატიკის საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მასალები; ○ მემორანდუმები წარმოებებთან; ○ სტუდენტთა კონფერენციების მასალები; ○ საბაკალავრო ნაშრომი.
რეკომენდაციები: ○ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კონკრეტული საკითხების ნაცვლად გაიწეროს შესაბამისი აქტივობები კვირეების მიხედვით და მორგებული იყოს განსხვავებული თემატიკის სადიპლომო ნაშრომებზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია კურსის შინაარსის და მიზნების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები მათ შორის: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე/ტექსტზე მუშაობა, თვალსაჩინოების (ლაბორატორიული და დემონსტრირების/) მეთოდები, დისკუსია/დებატები) სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, წერა, როგორც სწავლების მეთოდი (დია/დახურული ტესტი და ა. შ.).

სასწავლო კურსების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია კურსის მიზნებთან. პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის შესაბამის სილაბუსში. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმი. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან.

სწავლა-სწავლების მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში, ხოლო სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ეფექტიანობა დგინდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება ეფუძნება სააუდიტორიო, სასწავლო პრაქტიკასა და სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სწავლება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგებიდან გამომდინარე მოიცავს ლექციას, ჯგუფში მუშაობას (პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა 40, ხოლო შუალედური გამოცდა

20 ქულით ფასდება, ამასთან დარჩენილი 40 ქულა პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ ნაწილდება შუასემესტრული აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და განათლების მინისტრის №3 ბრძანებასთან, იგი არ აღემატება 60%-ს, ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ არის მოცემული შეფასების კომპონენტების დეტალური რუბრიკები, შესაბამისად, **რეკომენდებულია**, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკები გაიწეროს დეტალური კრიტერიუმების მიხედვით.

უსდ-ში გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება ნაშრომების დაშიფვრა, რაც ხელს უწყობს შემფასებლის მხრიდან მეტ ობიექტურობას. ამასთან, აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაიწყო პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“, რომელიც დაინსტალირდა Moodle-ს სისტემაში, უსდ-ის აკადემიური საბჭოს № 06-01/50 და №06-01/71 დადგენილებებით განსაზღვრულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების სტანდარტები.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილეს დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც. აპელაციის მექანიზმის მიხედვით, შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ის წერილობით საჩივარს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, რომელიც რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ლექტორი შეფასებას ობიექტურად მიიჩნევს, ხოლო სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება მის პოზიციას, დეკანს უფლება აქვს საჩივარი განსახილველად გადასცეს კომისიას.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკები გარკვეულწილად მოითხოვს დეტალიზაციას. კონკრეტულად, საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ, საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასებას - 30 ქულა; (აფასებს ხელმძღვანელი); რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა. თავის მხრივ, შუალედური შეფასება იყოფა სამ ქვეკომპონენტად: სტუდენტი ინტენსიურად დადის კონსულტაციებზე, აქტიურია და მოტივირებული - 10 ქულა; - საბაკალავრო ნაშრომის გეგმა, მოძიებული და დამუშავებული ლიტერატურა - 10 ქულა; - ნაშრომის საბოლოო შეფასება, მიღებული დასკვნების რელევანტურობა - 10 ქულა. რეცენზენტის შეფასება ასევე იყოფა სამ ქვეკომპონენტად: ნაშრომის გაფორმება, თემის აქტუალობის დასაბუთება, გამოყენებული კვლევის მეთოდები - 10 ქულა; - ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან - 10 ქულა; - მიღებული დასკვნების

რელევანტურობა - 10 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმებია: – თემის აკადემიური დონე - 10 ქულა – პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა – დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა - 10 ქულა – პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა გაიწეროს დეტალურად, რათა სტუდენტს, ისევე როგორც შემფასებელს ქონდეს ნათელი წარმოდგენა შეფასების მექანიზმების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება);
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭო დადგენილება №23);
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილებები № 06-01/50 და №06-01/71 - პლაგიატის პროგრამისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციისა და ინტერნეტინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკები გაიწეროს დეტალური კრიტერიუმების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს. ამასთან, სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით პროგრამის კურატორი ეხმარება სტუდენტებს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ამასთან, კურატორის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მათი არასასწავლო საქმიანობის სათანადო ორგანიზებაში, რაც ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა.

აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი. აგრეთვე აღნიშნული სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს.

ბსუ-ის ტექნოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით კი სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ, ასევე მიმდინარე სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და ბსუ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით ონლაინ რეჟიმში სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია, სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ „FAB LAB“-ითა და „ინოვაციების ცენტრით“, როგორც

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად, ისე კურიკულუმს მიღმა სხვადასხვა აქტივობისთვის საჭირო სამუშაოების განსახორციელებლად.

უსდ-ში სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, პროგრამის წინა აკრედიტაციიდან (25.11.2011) დღემდე არცერთ სტუდენტს არ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო სემესტრულ მობილობაში, გაცვლით პროგრამასა ან სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში, რაც ექვეყნეშ აყენებს ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციისა და ინტერნეტინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არსებული ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ქმედითობას. შესაბამისად, რეკომენდებულია, მოხდეს საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშეწყობი მექანიზმების შემოღება. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ის ადმინისტრაციამ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და დაადასტურა მზაობა, რომ აქტიურად იმუშავებენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად.

კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციებს, ასევე წარჩინებულ სტუდენტთა სტიპენდიის მოპოვება და მოკიდებულია არა მხოლოდ სტუდენტის აკადემიურ წარმატებაზე, არამედ მის სამეცნიერო აქტივობებზე. ამასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, ასევე არსებობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წახალისების პრაქტიკა. ამასთან ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციისა და ინტერნეტინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ საუნივერსიტეტო, სახელობითი და სოციალური სტიპენდიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სამუშაოს აღწერილობა;
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი;
- სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად

წამახალისებელი წესი; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების ცხრილი; • სტუდენტური პორტალი - https://portal.bsu.edu.ge/; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: • უზრუნველყოფილი იქნას საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშეწყობი მექანიზმების შემოღება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშეწყობი მექანიზმების განმტკიცება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • მისასალმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტით არ შეფასებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება შესაბამისი მიმართულების 20 აფილირებული აკადემიური პერსონალის (5 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 8 ასისტენტ-პროფესორი), 1 აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთა დასაქმება უნივერსიტეტში მოხდა მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სტატია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა;), ასევე სხვადასხვა საგრანტო პროექტებში მონაწილეობით. აკადემიური პერსონალის გარდა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 მოწვეული ლექტორი. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც ცხადყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია სტუდენტთა კონსულტირების და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო დატვირთვას და სხვა დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე. ვინაიდან, მოწვეული ლექტორების უმეტესობას არ გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა ბოლო 5 წლის განმავლობაში მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესის განხორციელებისას, გამოქვეყნებული სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, შესაბამისი პროექტები და სხვ.,

რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის პერსონალის კომპეტენტურობას და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის აქტივობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის
- განმავლობაში
- "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი" https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8558_1.pdf
- „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8444_1.pdf
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესის განხორციელებისას

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიმართულებით. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; შეფასების შედეგები განისაზღვრება უმაღლესი, მაღალი, კარგი და შეფასების გარეშე შედეგით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო მათ მიერ საბოლოო ანგარიში შეფასების შედეგად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომენდაციების სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს. საქმიანობის შეფასების პროცესში აქტიურად გამოიყენება შეფასების ელექტრონული სისტემა (პორტალი), დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით. ელექტრონული პორტალის მრავალფუნქციური მოდული უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებას, მუდმივ უკუკავშირსა და განვითარების აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურები. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ასევე შეუძლია კვლევითი პროექტების

დაფინანსების ნაწილში მხარდაჭერის მიღება.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროფესორ-მასწავლებელთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად პერსონალი აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მივლინების საკითხებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფინანსურ წამახალისებელ აქტივობებს როგორც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის გასაავითარებლად. მიუხედავად ამისა, სილაბუსებში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და ცოდნის გამოყენების დონის განსაზღვრის მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკადემიურ პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგის შეთავაზება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“
- „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“
- პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესი
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია აკადემიურ პერსონალისთვის შეთავაზებული იქნას ტრენინგი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის. ფუნქციონირებს სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ინსტიტუტი, მათ შორის: „ციფრული ელექტრონიკის ლაბორატორია“, „სატელეკომუნიკაციო სიგნალების ლაბორატორია“, „ელექტროტექნიკისა და ელექტრული წრედების ლაბორატორია“, „ბსუ-ს აგარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტი“, ფაკულტეტის კომპიუტერული კლასები, ინოვაციების ცენტრი. საუნივერსიტეტო ბასწავლო ბაზებთან ერთად სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა პარტნიორი კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და რესურსები, სადაც სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ითვისებენ თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ლაბორატორიებსა და პრაქტიკის ობიექტებზე დაცულია უსაფრთხოების წესები, რომლებსაც სტუდენტები ეცნობიან სამუშაოების დაწყებამდე.

ლაბორატორიებში შესაძლებელია სიგნალების კოდირება-დეკოდირების, მოდულაცია-დემოდულაციის, მულტიპლექსირება-დემულტიპლექსირების, არხებში გატარების პროცესების მოდელირება-ანალიზი, ასევე სატელეკომუნიკაციო სტრუქტურების, ანძების, კოშკების მოდელირება, მაკეტირება და დეტალირება, შესაძლებელია ტექსტოლიტის ფირფიტაზე პროგრამულად პლატის (სამონტაჟო დაფა) დამზადება და სხვა,

ფაკულტეტზე შექნილია ინოვაციების ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა Erasmus+“-ის საგრანტო პროექტის-ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში („InnoCENS Project“-Enhancing Innovation Competences and

Entrepreneurial Skills in Engineering Education) - ფარგლებში.

სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება სათანადო ინვენტარით, წიგნადი ფონდითა და სამეცნიერო პერიოდიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ინჟინერიის მიმართულებისთვის ფუნქციონირებს დამატებით ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული დარგობრივი ლიტერატურა და სხვა მასალა (მათ შორის ელექტრონული სალექციო მასალები), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პირველკურსელებს სასწავლო წლის დასაწყისში.

სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი და ცენტრალიზებული გათვალისწინებით, სველი წერტილებით, სხვადასხვა კორპუსებში მოწყობილია სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები;
- საწარმოო პრაქტიკის ანგარიში;
- „სატელეკომუნიკაციო სიგნალების“ ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №02 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“ (FAB LAB BSU) დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- Fablab-ის ვებ-გვერდი: www.facebook.com/fablabbsu;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №08 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკა, <http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html>;
- ელექტრონული წიგნები, <https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php>
- ხელშეკრულება N338-1/7-8 29.10.2008 წ. სს ენერგოპროჯორჯიასთან;
- ხელშეკრულება N 191, 01.03.2019 წ. შპს სოკარ ჯორჯია გაზი;
- ხელშეკრულება N6574, 03.01.2018 წ. შპს ბათუმის წყალი;
- ხელშეკრულება N220 06.10.2016 წ. შპს ლაშვარდი ცეცხლმაქრების მოწოდებაზე და მონტაჟზე;
- ბსუ-ს კანცლერის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია“;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიზაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ღირებულება შეადგენს 2250 ლარს, მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 30 სტუდენტით. ბსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების - ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, კომპიუტერული ტექნიკის, სასწავლო ლაბორატორიების, სასწავლო მასალების, სწავლის პროცესისა და სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელი სხვა საქონლისა და მომსახურების შეძენის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №07-01\02 გადაწყვეტილება „ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია“ სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის №02 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს უსდ-სა და შესაბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ელექტრონული სისტემით ტარდება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის

შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ განსაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემდეგი შემადგენლობით: პროგრამის ხელმძღვანელები, დამსაქმებელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის დარგის სპეციალისტები, სტუდენტი და კურსდამთავრებულები. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც შეფასებისთვის გადასცა კურიკულუმის კომიტეტს.

კურიკულუმის კომიტეტში, ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ვინაიდან, კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი მასალები და შეაფასოს სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაო, სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები
- სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის ოქმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ვინაიდან, კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი მასალები და შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა სასურველია არ იყოს იდენტური.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, რათა დაიხვეწოს და განვითარდეს საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

გარე შეფასების ფარგლებში მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მათი მიღწევის კომპონენტების, სწავლის და სწავლების მეთოდების გარე განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებელი. პროგრამა შეფასდა დადებითად და მათი რეკომენდაციით სასწავლო გეგმას ცალკე საგნად გამოეყო და დაემატა „ციფრული ტელეკომუნიკაცია“, „სატელეკომუნიკაციო ქსელების აგების საფუძვლები“, „სატელეკომუნიკაციო სისტემების აგების საფუძვლები“, „კონტროლერები“.

„ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საგანმანათლებლო პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაეგზავნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორს, ოთარ ზუმბურდიძეს. პროგრამა შეფასებულ იქნა დადებითად. სასურველი იქნებოდა გარე შეფასების მექანიზმების ფარგლებში განხორციელებულიყო სხვა ადგილობრივი კოლეგიალური შეფასება რათა გამოცდილების გაზიარების მიმართულებით გააქტიურდეს მუშაობა. ასევე, უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების ფარგლებში, განხორციელებულიყო პროგრამის შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ. რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას და თანამშრომლობით მიდგომებს პროგრამის განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ • ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევებისა და გამოკითხვების შედეგები • პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება • დამსაქმებელთა გამოკითხვა • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია განხორციელდეს ერთზე მეტი ადგილობრივი კოლეგიალური შეფასება და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით გააქტიურდეს მუშაობა. • ასევე სასურველია უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების ფარგლებში, განხორციელდეს პროგრამის შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და მუდმივი განვითარებისათვის, ხორციელდება პერიოდული შეფასება და მონიტორინგი.

ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, აკადემიური მოსწრების ანალიზს, გამოცდების მონიტორინგს, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას და შედეგების ანალიზს.

პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება.

სასურველია, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს

პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



ვალერიან გობრონიძე


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



შალვა კვირიკველია

სახელი, გვარი, ხელმოწერა



თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა



ნიკა გიგაური